www.geostat.ge

სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში

2016 წელი

30.11.2017

www.geostat.ge

30.11.2017

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენება საწარმოებში

გამოკვლევის ძირითადი შედეგები

(2016 წელი)

საწარმოებში საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების გამოკვლევის მიზანს წარმოადგენდა ბიზნეს სექტორში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესწავლა.

აღნიშნული გამოკვლევა განხორციელდა საერთაშორისო მეთოდოლოგიების შესაბამისად და მოიცვა ქვეყნის კონტროლირებადი ტერიტორია.

სამიზნე ჯგუფს წარმოადგენდა ქვემოთ ჩამოთვლილ დარგებში (ეკონომიკური საქმიანობის სახეების კლასიფიკატორს (NACE Rev.2) შესაბამისად) მოქმედი საწარმოები, რომლებშიც დასაქმებულთა რაოდენობა აღემატებოდა 9 კაცს:

- მრეწველობა
- მშენებლობა
- წყალმომარაგება; კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინძურებისაგან გასუფთავების საქმიანობები
- საბითუმო და საცალო ვაჭრობა; ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი
- ტრანსპორტი და დასაწყობება
- განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები
- ინფორმაცია და კომუნიკაცია
- საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები
- უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები
- პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები
- ადმინისტაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები

გამოკვლევის შედეგების მიხედვით, საწარმოთა 98.4%-ს 2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით ჰქონდა წვდომა ინტერნეტთან. ამასთან, ინტერნეტთან კავშირის უზრუნველსაყოფად ყველაზე მეტად გამოიყენებოდა ფიქსირებული ფართოზოლოვანი საშუალებები (მაგ. ოპტიკურ-ბოჭკოვანი (FTTH) და საკაბელო ტექნოლოგიები) – 40,2% და DSL კავშირი (მაგ. xDSL, ADSL, SDSL, VDSL და ა.შ.) – 31,8%.

საწარმოთა 17,3% იყენებდა მობილური ტელეფონების ქსელით ფართოზოლოვან კავშირს (3G,4G), ხოლო 10,6% - სხვა მობილურ სატელეფონო კავშირს (მაგ.GSM, GPRS, EDGE და სხვ.).

ქვემოთ მოცემული გრაფიკი ასახავს ინტერნეტის სიჩქარის პროცენტულ განაწილებას:

ინტერნეტთან კავშირის საშუალო სიჩქარე საწარმოებში (%)



2017 წლის 1 იანვრის მდგომარეობით, ზემოთ აღნიშნული კატეგორიის საწარმოებში დასაქმებულთა 46,5% იყენებდა საწარმოს კუთვნილ პორტატულ კომპიუტერს ან სმარტფონს, რომელიც უზრუნველყოფდა ინტერნეტთან კავშირს (მხოლოდ საწარმოს მიზნებისთვის), ხოლო იმ საწარმოთა პროცენტული წილი, რომლებიც იყენებდნენ ვებ-გვერდს ან ვებ-საიტს, განისაზღვრა 44,7%-ით. სამიზნე საწარმოთა ვებ-გვერდებს ან ვებ-საიტებს გააჩნდათ შემდეგი ტიპის შესაძლებლობები/საშუალებები:

საწარმოთა ვებ-საიტის ან ვებ-გვერდის შესაძლებლობები/საშუალებები



საწარმოები ძირითადად იყენებდნენ სოციალური მედიის ისეთ სახეებს, როგორიცაა სოციალური ქსელი (Facebook, LinkedIn და ა.შ.) – 33,7%, ხოლო საწარმოთა 47,7% საერთოდ არ იყენებდა სოციალური მედიის არანაირ საშუალებას. სოციალური მედიის გამოყენების უმთავრეს მიზანს წარმოადგენდა, როგორც საწარმოს იმიჯის შექმნა ან თავისი ბაზრის განვითარება (25,5%), ისე რეაგირება კლიენტის შეკითხვებზე, შეხედულებებსა და გამოხმაურებებზე (27,2%).

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

საკონტაქტო პირები:

გიორგი სანაძე, ტელ: 2 36 72 10 (200), E-mail: gsanadze@geostat.ge

მარიამ ყაველაშვილი, ტელ: 2 36 72 10 (020), E-mail: mkavelashvili@geostat.ge